ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №27

2025 წლის 9 ოქტომბერი

ქალაქი ახალციხე

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 მარტის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**,

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 მარტის №9 დადგენილებაში (ვებგვერდი matsne.gov.ge, 28/03/2025, სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.138.016566) და აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1-ის:

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მგზავრი, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებით მგზავრობისას, ვალდებულია მგზავრობის დაწყებისთანავე ელექტრონული გადახდის საშუალებით გადაიხადოს მგზავრობისთვის რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ტარიფით განსაზღვრული თანხა, შეინახოს ელექტრონული გადახდის საშუალება მგზავრობის დამთავრებამდე და წარუდგინოს ის თანამშრომელს მოთხოვნისთანავე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უბილეთო მგზავრად მიიჩნევა."

2. მე-3 მუხლის მე-11 პუნქტის ,,ბ.ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ე) მე-5 პუნქტში შეიტანება: სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო, ავტობუსის მარშრუტის №, ავტობუსის სახელმწიფო №, სამართალდარღვევის არსი: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებით უბილეთო მგზავრობა;"

3. მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ დ) მე-4 პუნქტში – სამართალდარღვევის ჩადენის: ადგილი, დრო, ავტობუსის მარშრუტის №, ავტობუსის სახელმწიფო №, არსი: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებით უბილეთო მგზავრობა;''.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე – **დავით ლომიძე**